რომის საზოგადოება ახ.წ. III საუკუნეში

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

დავალება: *ჰასუხი გაეცით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს.*

"შეხედე: შარაგზები ყაჩაღების ხელშია, ზღვები ჩაკეტილია მეკობრეების მიერ, ყველგან ომია და სისხლიანი საშინელებები. მთელი მსოფლიო მორწყულია ერთმანეთის დაღვრილი სისხლით და კაცის კვლა დანაშაულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ჩადიან ცალკეული ადამიანები, თუმცა, თუ ის ხდება საჯაროდ, ეს მამაცობად ითვლება. დანაშაულისათვის დაუსჯელობა უზრუნველყოფილია არა უდანაშაულობის არსებობით, არამედ ბოროტმოქმედების საშინელებით.

... მზადდება გლადიატორთა სანახაობები, რათა სისხლით დააკმაყოფილონ სისხლმოწყურებულ თვალთა ვნებები... ადამიანს კლავენ ადამიანის სიამოვნებისათვის: მკვლელობა დამკვიდრდა ჩვევებში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში: ადამიანები არა მარტო დანაშაულს სჩადიან, არამედ ასწავლიან კიდეც დანაშაულის ჩადენას... ასწავლიან, როგორ მოკლან, ხოლო მკვლელები სახელგანთქმულნი არიან იმით, რომ კლავენ!.. მამები უყურებენ თავიანთი შვილების დაღუპვას; და-ძმა სხედან პარტერში: თვით დედა - რაღა უნდა იყოს ამაზე სავალალო? – თვით დედა ყიდულობს თავისთვის ადგილს სანახაობაზე, ფულს იხდის თავისი მომავალი კივილისა და სასოწარკვეთილებისათვის!

თეატრებშიც ვერ ნახავ იმას, რაც შენში სინანულსა და სირცხვილს გამოიწვევს. იქ ტრაგიკოსი ამაღლებული სიტყვებით მოგვითხრობს ძველი ბოროტმოქმედებების შესახებ: ზიზღის მომგვრელი გადმოცემები მკვლელობებისა და სისხლის აღრევის შესახებ ცხადად მეორდება, რომ წარსულში ჩადენილი ეს ბოროტმოქმედებები არ ამოიშალოს მომავალი თაობების მეხსიერებიდან... წარმოადგენენ უსირცხვილო ვენერას, აღვირახსნილ მარსს, წარმოადგენენ აგრეთვე იუპიტერს, სამყაროს ამ უმაღლეს მბრძანებელს ან, უფრო უკეთ რომ ვთქვათ, ყოველგვარი ცოდვების მბრძანებელს...

დაე კანონები თორმეტ ტაბულად იყოს ჩამოწერილი, დაე გამოიფინოს ყველას დასანახად, სწორედ კანონების წინ ხდება დანაშაულობები, უფლებების დარღვევა. უცოდველობას არ იცავენ იმ ადგილზეც კი, სადაც იგი დაცული უნდა იყოს. ურთიერთშუღლი მწვავდება გააფთრებამდე, არაა მშვიდობა ტოგებს[1] შორის, ფორუმზე გაისმის მუქარის ყვირილი. იქ მზადაა მახვილი, შუბი, წამების იარაღები: მაშები, საწამებელი ძელი და ცეცხლი. ადამიანის ერთი სხეულის მიმართ გამოიყენება იმდენი საწამებელი, რამდენი ორგანოც მის სხეულს გააჩნია. ვინ დაიცავს მას ყოველივე ამისაგან? პატრონი? მაგრამ ის ვერაგი და მატყუარაა. მოსამართლე? მაგრამ ის თავისი განაჩენებით ვაჭრობს. ის ვისაც დანაშაულის აღკვეთა ევალება, თვითონ ის ჩადის დანაშაულს და რომ

[1] ტოგა - რომაელ დიდებულთა ტანსაცმელი.

დაღუპოს უდანაშაულო ბრალდებული, თვით მოსამართლე ხდება დამნაშავე... არ არსებობს რაიმე შიში კანონის წინაშე, არავითარი პატივისცემა არც გამომძიებლის მიმართ და არც მოსამართლის მიმართ; ის რაც იყიდება, არაა შიშის მომგვრელი...

შეიძლება თავს უშიშრად ისინი გრძნობენ, ვისაც გარს ახვევია ოქროს სასახლის ბრწყინვალება და იცავენ შეიარაღებული მცველები? მაგრამ ამგვარ ადამიანებს უფრო მეტად ეშინიათ, ვიდრე სხვებს. რაც უფრო მეტად ეშინიათ მისი, მით უფრო მეტი მიზეზი აქვს თვითონ მას შიშისა. ადამიანის დაწინაურების კვალდაკვალ იზრდება მისი საფრთხეც, მიუხედავად იმისა, რომ მას იცავენ მცველები და იგი განუწყვეტლივ იმყოფება მრავალრიცხოვანი დარაჯების დაცვის ქვეშ. რაც უფრო ნაკლებად ამყოფებს იგი სხვებს მშვიდად, მით უფრო ნაკლებად მშვიდად უნდა იგრძნოს მან თავი. ძალაუფლება საშიშია, უწინარეს ყოვლისა, თვით ხელისუფალთათვის, რადგან მათ ერთი მეორისათვის საშიშსა ხდის. ძალაუფლება იღიმება, რათა იბობოქროს, გეალერსება, რათა მოგატყუოს, გიმხრობს, რათა მოგკლას, აგამაღლებს, რათა იქვე პირქვე დაგამხოს.

შეკითხვები:

1. რატომაა უარყოფითად განმსჭვალული წერილის ავტორი თანამედროვეობის მიმართ? დაასაბუთეთ.
2. რატომაა უარყოფითად განმსჭვალული წერილის ავტორი მისი თანამედროვე თეატრის მიმართ? დაასაბუთეთ.
3. რატომ აძაგებს წერილის ავტორი მოსამართლეებს? დაასაბუთეთ.
4. თქვენი აზრით, რამდენად ობიექტურია წერილის ავტორი? გაითვალისწინეთ, რომ წერილი დაწერილია რომის იმპერიაში ძვ.წ. III საუკუნეში.
5. ვინ შეიძლება იყოს წერილის ავტორი?
6. რა არის წერილის დაწერის მიზანი?
7. როგორ იმოქმედებდა წერილის შინაარსი თანამედროვეებზე?

მასწავლებელთა საყურადღებოდ: *ეს ინფორმაცია მოსწავლეებს არ უნდა გააცნოთ! წერილი გახლავთ ამონარიდი III ს-ის შუა პერიოდის კართაგენელი ეპისკოპოსის, კიპრიანეს ტრაქტატიდან "დონატოსისადმი".*